საჯარო ლექცია „Architects of invention”(AI) -ის დამფუძნებელთან ნიკა ჯაფარიძესთან

2018 წლის 31 დეკემბერს სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე 405 ც აუდიტორიაში ჩატარდა საჯარო ლექცია არქიტექტორ ნიკა ჯაფარიძესთან, რომელიც მოღვაწეობს ლონდინში და გარკვეული დროის განმავლობაში მუშაობდა სტუდია OMA ჰოლანდიელ არქიტექტორთან რემ კოალჰასთან ერთად. იგი არის საერთაშორისო კომპანიის „Architects of invention” -ის დამფუძნებლი და არაერთი ჯილდოს მფლობელი.

ლექციაზე ნიკა ჯაფარიძემ ისაუბრა არქიტექტორ რემ კოალჰასის დაპროექტების მეთოდზე ორი ობიექტის მაგალითზე, რომელის ავტორი თავად არის: საცხოვრებელი სახლი ლისზე და საცხოვრებელი სახლი ბირმიგემში, რომლის ავტორი თავად არის. ასევე ისაუბრა თბილისში აშენებული პროკურატურის არქიტექტურაზე, იდეაზე, საწყის კონცეფციაზე და კონსტრუქციულ გადაწყვეტებზე.

ლექციის ბოლოს გაიმართა დიალოგი სტუდენტებსა და არქიტექტორს შორის.

მის მიერ შესრულებული ობიექტები შეგიძლიათ ნახოთ: www.architectsofinvention.com